საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარბიელი

მარბიელი (ისტ.), ფეოდალური ქვეყნის ლაშქარი ან ლაშქრის ნაწილი, რ-იც შეესეოდა დამარცხებულ ქვეყანას ან მშვიდობიან ვითარებაში მოულოდნელად დაეცემოდა და დაარბევდა მას ალაფისა და ტყვეების ხელში ჩასაგდებად, ზოგჯერ კი – ტაქტიკური განზრახვით. მაგ.: ბაგრატ IV-ის მეფობაში სპარსელთა ლაშქარი „უგრძნეულად მოვიდა და შემუსრა კანგარი და თრიალეთი, და დღესა ერთსა მარბიელმან მისმან მიუწია ყუელის ყურსა, გარდავიდა შავშეთს“. თამარ მეფის მხედრებმა „ილაშქრეს ქვეყანასა კარისა და კარნიფორისასა, და მოარბიეს ვიდრე ბასიანამდის და გამარჯვებულნი და აღვსილნი შემოიქცეს“.

ი. შაიშმელაშვილი